„ვამტკიცებ“

საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია

-----------------------------------------

6 მარტი 2026

სალიცენზიო შეჯიბრება 2 სარეიტინგო ჩემპიონატისთვის 2010-2011 წლებში დაბადებულ ვაჟთა შორის (აღმოსავლეთ საქართველო)

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

4 – 5 აპრილი
2026
თბილისი

## I. შეჯიბრების მიზანი და ამოცანები

- ძიუდოს მასობრიობა და პოპულარიზაცია.
- ძიუდოისტთა შერჩევა უმცროს ჭაბუკთა სარეიტინგო ტურნირებისთვის.

## II. შეჯიბრების ხელმძღვანელობა

- შეჯიბრების ჩატარებას უზრუნველყოფს საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის მიერ დამტკიცებული საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს სპორტის სამინისტროსთან ერთად.

## III. შეჯიბრების მონაწილეები

- შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად დაიშვებიან 2010-2011 წელს დაბადებული ვაჟი ძიუდოისტები აღმოსავლეთ საქართველოდან, რომელთაც არ აქვთ სარეიტინგო ჩემპიონატის ლიცენზია და ჩაბარებული აქვთ წინასწარი გამოცდები ძიუდოს საწყისებში.
- სალიცენზიო შეჯიბრებაში მონაწილეობისთვის აუცილებელია პირად მწვრთნელებს საკუთარი მოსწავლეების საწევრო გადასახადი, თითოეულ ძიუდოისტზე 100 (ასი) ლარი, ჩარიცხული ჰქონდეთ საქართველოს ძიუდოს ფედერაციის საბანკო ანგარიშზე და შესაბამისი სია წარმოდგენილი (ან გამოგზავნილი ელექტრონულად gjf.registr@gmail.com ) ფედერაციაში, რის შემდეგაც შესაბამის ძიუდოისტებს უფლება ექნებათ მონაწილეობა მიიღონ ძიუდოს ფედერაციის მიერ წლის განმავლობაში ორგანიზებულ სხვადასხვა ღონისძიებებში (შეჯიბრება, სემინარი, შეკრება, გამოცდა და სხვ.). დამატებითი ინფორმაცია დოკუმენტაციის სახით შეგიძლიათ იხილოთ დანართში.
- დებულება საწევროს შესახებ
- კალენდარი
- საწევროს სარეგისტრაციო ფორმა
- საბანკო ანგარიში - საქართველოს ბანკი.
- მიმღების დასახელება - საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია.
  ბანკის კოდი - BAGAGE22
  მიმღების ანგარიშის ნომერი - GE55BG0000000121179301

## IV. შეჯიბრების დრო, ადგილი, რეგისტრაცია, კენჭისყრა.

- შეჯიბრება ჩატარდება 4-5 აპრილს თბილისში, ძიუდოს აკადემიაში, ბელიაშვილის 38.
- კენჭისყრა ჩატარდება აწონვის შემდეგ.
- შეჯიბრებაზე ჩამოსვლის დღე 3 აპრილი, წასვლის დღე 6 აპრილი.
- შეჯიბრების დასაწყისი 10:00.

**რეგისტრაცია**

- პირადმა მწვრთნელებმა (კლუბებმა) საკუთარი ძიუდოისტები უნდა დაარეგისტრირონ ელექტრონულად 28 მარტამდე.
- ძიუდოისტთა რეგისტრაცია შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს ძიუდოს ფედერაციის ვებგვერდიდან https://gjf.ge/geo/calendar/georgia სპეციალური სარეგისტრაციო ფორმის შევსებით. რეგისტრირებული ძიუდოისტები ავტომატურად აისახებიან მონაწილეთა სიაში ვებგვერდზე https://portal.judomanager.com/gjf . რეგისტრაციის დასრულების შემდეგ მწვრთნელები ვალდებულნი არიან გადაამოწმონ საკუთარი ძიუდოისტები და უზუსტობის შემთხვევაში აცნობონ საორგანიზაციო კომიტეტს.

## V. შეჯიბრების ჩატარების სისტემა

- შეჯიბრება ჩატარდება ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის წესების მიხედვით.
- ძირითადი შეხვედრების ხანგრძლივობა 4 წუთი (სუფთა დრო). დამატებითი დრო განისაზღვრება „ოქროს ქულამდე“.
- შეჯიბრება ტარდება მხოლოდ პირად პირველობაში ვაჟთა შორის 8 წონით კატეგორიაში: -46კგ, -50კგ, -55კგ, -60კგ, -66კგ, -73კგ, -81კგ, +81კგ.
  4 აპრილი: -46კგ, -50კგ, -55კგ, -60კგ;
  5 აპრილი: -66კგ, -73კგ, -81კგ, +81კგ.
- PS. რეგისტრაციის შემდეგ შესაძლებელია შეიცვალოს წონით კატეგორიებში შეჯიბრების ჩატარების დღეები.
- სარეიტინგო ჩემპიონატისთვის გამოვლინდება წონით კატეგორიაში 4 ძიუდოისტი.

## VI. აწონვა

- აწონვები ჩატარდება წონითი კატეგორიების მიხედვით შეჯიბრების წინა დღეს ძიუდოს აკადემიაში.
  არაოფიციალური 16:30 – 17:00 საათებში;
  ოფიციალური 17:00 – 18:00 საათებში;
- მონაწილეები ვალდებულნი არიან აწონვის დროს წარმოადგინონ საქართველოს მოქალაქის დამადასტურებელი ორიგინალი საბუთი - პირადობის მოწმობა ან პასპორტი.

## VII. გამარჯვებულთა დაჯილდოება

- თითოეულ წონით კატეგორიაში გამარჯვებული სპორტსმენები დაჯილდოვდებიან შესაბამისი ხარისხის მედლებით და სიგელებით.

## VIII. შეჯიბრების ჩატარების ხარჯები

- სპორტსმენთა, მწვრთნელთა და წარმომადგენელთა სამივლინებო ხარჯებს (მგზავრობა, ღამისთევა, კვება) გაიღებენ მიმავლინებელი ორგანიზაციები.
- შეჯიბრების ჩატარების ხარჯებს (დარბაზის მომსახურება, საორგანიზაციო საკითხები, მსაჯების ხელფასი და სასტუმრო, მედპერსონალის ხელფასი და სხვა) უზრუნველყოფს საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს სპორტის სამინისტროსთან ერთად.

**საორგანიზაციო კომიტეტი:**
ტელეფონი/ფაქსი 0322516466;
ზურაბ უსუფაშვილი 577994407.
ფინანსური საკითხები - ანა წიწრიაშვილი 551502244.

PS.

- შეჯიბრებაზე სპორტსმენთათვის სავალდებულოა თეთრი და ლურჯი კიმანოს ქონა.
- სპორტსმენის, მწვრთნელის, წარმომადგენლის მიერ განხორციელებული დარღვევის შემთხვევაში ფედერაციის აღმასკომი იმსჯელებს დისციპლინარულ საკითხებზე.
- აკრძალულია ძიუდოისტებისთვის წონის კლება წონით კატეგორიაში მოსახვედრად. ძიუდოისტმა შეიძლება დაიკლოს მაქსიმუმ 1 (ერთი) კილოგრამი. ძიუდოს ფედერაციის მხრიდან მკაცრად იქნება გაკონტროლებული მონაწილეთა წონები და შესაძლებელია კონტროლი შეჯიბრების მიმდინარეობის დროსაც. იმ მწვრთნელთა მიმართ, რომელთა ძიუდოისტებიც დაარღვევენ წონის კლების დებულებას, ფედერაცია გაატარებს შესაბამის ღონისძიებებს.

ფედერაციის პრეზიდენტი ლევან ნოზაძე